



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 3
03/02/2016

3-06-4-201602032311



დადგენილება №3
2016 წლის 03 თებერვალი
ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2016 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016250) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **15 400** ლარით, კერძოდ:

ა) შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან - **15 400**

ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს:

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, თანამდებობრივი სარგო (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 2.1.1.1.1.) – **15 400** ლარით;

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დიმიტრი კვერელიძე

თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო